შეჯიბრების დებულება

საქართველოს ჩემპიონატი
წრიურლ რბოლაში II ეტაპი
31.05.2026

1. წინასიტყვაობა

აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ერთადერთ ღონისძიებას წრიულ ავტორბელებში რომელიც ატარებს სახელს „საქართველოს ჩემპიონატი“.

2. ორგანიზატორი

2.1 საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

WWW.GASF.GE

WWW.GASF.CO

INFO@GASF.CO

ტელ. +995557911663

3. ოფიციალური პირები

კომისრები:	ბექა ჯიქია, გიორგი არჯევანიძე, TBA
შეჯიბრების ხელმძღვანელი	არჩილ ნოღაშვილი
შეჯიბრების მდივანი	ხათუნა ჯულაყიძე
ტექნიკური დელეგატი	მანუჩარ ომანაძე
მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცერი	მარიამ ბირბიჩაძე
ქრონომეტრაჟისტი	ნიკოლოზ მიქელაძე
შეჯიბრების ხელმძღვანელის დამხმარე	შოთა კაპანაძე
ტექნიკური დელეგატის დამხმარე	ვანდა იაკობიშვილი
შეჯიბრების მდვინის დამხმარე	ფატი სალუქვაძე
მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცერი	ნატა ინწკირველი
ფაქტის მსაჯები	TBA

4. განაცხადები

4.1 ღონისძიებაზე მონაწილეთა რეგისტრაციის დახურვის თარიღი - 29.05.2026 21:00

4.2 განაცხადები მიიღება ჩემპიონატის რეგლამენტის შესაბამისად.

4.3 ღონისძიებაზე მონაწილეობა უფასოა

4.4 რეგისტირერებული მონაწილის არ გამოცხადების შემთხვევაში შეჯიბრების კომისრები განიხილავენ ინდივიდუალურად

5. ადმინისტარციული შემოწმება/ტექნიკური დათვალიერება

5.1 ადმინისტარციული შემოწმება გამართვის ადგილი გამოქვეყნდება დანართის სახით

5.2 ყველა მონაწილე ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული შემოწმება

5.3 ტექნიკური შემოწმება ღონისძიების დაწყებამდე, კვალიფიკაციისა და რბოლის შემდეგ, ასევე შეჯიბრების კომისრების გადაწყვეტილებით ღონისძიების მიმდინარეობისას ნებისმიეერ დროს, გაიმართება #28 ავტოფარეხში

5.4 კვალიფიკაციის შემდეგ თითოეული მონაწილე ვალდებულია გაემართოს სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებაზე. აღნიშნულის დარღვევა გამოიწვევს კომისრების მიერ ინციდენტის განხილვას რასაც შეიძლება მოყვეს დაჯარიმება.

6. დაშვებული მონაწილეების განაცხადის მისაღებად

ღონისძიებაზე რეგისტრაციისათვის მოინაწილეები უნდა ფლობდნენ სსსფ-ს მიერ დადგენილი 2026 წლის შესაბამისი კატეგორიის ლიცენზიას

7. მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა

7.1 მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია ჩემპიონატის რეგლამენტის 6.5 პუნქტში

7.2 თუ მონაწილეთა რაოდენობა რეგლამენტით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია მაშინ შეჯიბრების ორგანიზატორი იღებს გადაწყვეტილებას დაჯილდოებაზე და შეჯიბრების წარმართვაზე „სსსფ“თან შეთანხმებით.

8. სტარტი და ფინიში

რბოლის სტარტი - ადგილიდან. სასტარტო პროცედურა აღწერილია ჩემპინატის რეგლამენტში თავი 35.

ქრონომეტრირებული ფინიშის ზოლი - ტრასის პასპორტის შესაბამისად.

9. რბოლის სადამკვირვებლო პუნქტი და შეჯიბრების ხელმძღვანელის პლატფორმა

სარბოლო მონაკვეთზე განლაგებულია 13 სადამკვირვებლო პუნქი, ტრასის ტექნიკური პასპორტის შესაბამისად, ფინიშის სადამკვირვებლო პუნქტი (ქრონომეტრირებული ზოლის გასწვრივ) და შეჯიბრების ხელმძღვანელის პლატფორმა სტარტის ზოლის გასწვრივ მარცხენა მხარეს.

10. რბოლის ფორმატი

ეტაპი შედგება 2 რბოლისაგან. თითოეულ რბოლაზე მონაწილეები სასტარტო ბადეზე განლაგდებიან ჩემპიონატის რეგლამენტის პუნქტი 33ის შესაბამისად.

11. შეჯიბრების განრიგი

შეჯიბრების განრიგი გამოქვეყნებულია დანართი #1.

12. დაჯილდოება

დაჯილდოება გაიმართება თითოეული რბოლის დასრულებისთანავე.

13. დაშვებული ავტომობილები

13.1 ღონისძიებაზე დაშვებულია ავტომობილები ჩემპიონატის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად

13.2 დაშვებულია ორი მრბოლელის რეგისტრაცია 1 ავტომობილით. ვარჯიში - მრბოლელი 1 და კვალიფიკაცია მრბოლელი 2. ასევე რბოლა 1 - მრბოლელი 1 და რბოლა 2 - მრბოლელი 2. მონაწილეებმა ადმინისტრაციული შემოწმებისას უნდა დააფიქსირონ რომელი მრბოლელი იქნება მრბოლელი #1 და მრბოლელი #2

14. მონაწილეთა საბორტო ნომრები

მონაწილეებზე საბორტო ნომერს გასცემს ორგანიზატორი

15. სასტარტო ბადე

კენტი პოზიციები განლაგებულია სასტარტო ბადის მარცხენა მხარეს, ლუწები - მარჯვენა მხარეს

16. მონაწილეთა ბრიფინგი

მონაწილეთა ბრიფინგი გაიმართება შეჯიბრების განრგისა და ჩემპიონატის რეგლამენტის 5.5 პუნქტის შესაბამისად.

17. სარბოლო მონაკვეთი

დისტანცია - 4122მ.

მიმართულება - საათის ისრის საწინააღმდეგო

მოსახვევების რაოდენობა - 12

18. საბურავები

რბოლაზე დაშვებულია ორგანიზატორის მიერ მოთხოვნილი საბურავები ჩემპიონატის რეგლამენტის თავი 24-ის შესაბამისად